

* სამშაბათს, ამ თვის 8-სა, ტფილისის გუბერნიის თავად-ახნაურობამ პატივსაცემი სადილი გაუმართა თავის წინამძღოლს, თავ. დ. ზ. ძეს მელიქიშვილს. ამ სადილზედ სამოც კაცამდე შეიკრიბა. აქ იყვნენ, სხვათა შორის, გენერალ-ადიუტანტი თავ. ზ. გ. ჯავახიძე, კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, გენერალ-ლეიტენანტი მ. კ. ამირჯები და სხვანი. საპატიო სტუმართა შორის აქვე იყვნენ: ქუთაისის გუბერნიის თავად-ახნაურთა წინამძღოლი თავ. ს. გ. წერეთელი და დეპუტატად ქუთაისიდან ჩამოსული თავ. პ. ა. თუმანიშვილი. სადილზედ ნ. ერისთავმა წაიკითხა ამ შემთხვევისათვის განდევნილის მიერ შედგენილი ლექსი „სადღებრძელო“. აი ეს ლექსი:

ს ა დ ლ ე ბ რ ძ ე ლ ი
(თავ. დ. ზ. მელიქიშვილს)
მამა პაპურ გულ-უხვობით
აქ შევერილვართ ქართლ-კახეთი
და უფროს ძმებს მხარს გვიმშენებს
უმცროსი ძმა—იმერეთი.
ეს სამება, ჰირს და ლხინში
ერთ არსებულ შენაქელი,
თქვენ მოგვდნოთ, რომ განავით
მათი სვე და მათი ბელი.
თქვენ მამა ხართ, ჩვენ-კი შვილინი,
გვიწინამძღვრეთ, იბელადეთ,
თქვენ ჩაპყარეთ საძირკველი,
აშენება ჩვენ მოგვანდეთ...
მამ ვისურვოთ, რომ ბელადნი
ღმერთმა დიდხანს გვიდღებოდნენ
და ერთობა არ მოაკლოს
ჩვენს პატარა საქართველოს.
განდგეილი

* კავკასიის მთავარ-მართებულს თავ. გოციბინს 200 მან. შეუწირავს დეპუტატანთა საქველ-მოქმედო თავშესაფარისათვის.

* 1-ლ ივნისს ტფილისის აუნკერთა სასწავლებლის მისწავლებნი დაბა სურამში მიდიან საზაფხულოდ.

* როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდან სწავრს, დარბ ბავშვთათვის სამზარეულო საზოგადოება ახარებს თურმე კვირამა ურთხვად, ხუთშაბათობით, უფასო საზაფხულო სათამაშოების მართვას გამოცდილ მასწავლებელთა სექციისგან.

* ოთხშაბათს, 9 მაისს, ტფილისის მასწავლებლებს ქაღალთა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება მიხდა, რომელზედაც გამოცხადდა წევრებად არჩეულ იქნენ: ქ. ნინო უგრაძე, ს. და ბეკაძე, ს. ხაფა მათ კანდიდატებად: ქ. ნინო ზურაბიშვილი, სტრუგე და ივანოვი.

* რედაქციამ მიიღო მე 5 ნომერი ჟურნალ „მოგზაურისა“. ამ ნომერში შემდეგი წევრები მითავსებულნი: 1, ნაწილობრივ დიდ მოურავიანს; ლექსი გ. ხენჯაშვილის; 2, ქსნის მტკვრის ციხე; 3, სოფელი სარა და მისი ნაშთნი; 4, ბუმბუკანის ჩვენის მთების—მიხნარო, თამარ ფაქაძის მიხნარის; 5, წმ. მოდგეწი ნინო, ვინმე მესხის; 6, დავით აღმაშენებელი, ლექსად მ. ლასურაძის; 7, იანინარი, ისტორ. დრამა დ. ნახუტაშვილის; 8, საქართველოს ექსპრესია, ილ. ფერაძის; 9, სოფლომონ ჯეონიძე, ი. მარუშვილის; 10, გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა ჰერეთისა, ივანე ჯანაშიაძის; 11, გურია, კ. გვარამიძის; 12, კონსტ. ივ. ქე ზუბაძის მიხნარის; 13, კონსტ. ივ. ქე ზუბაძის მიხნარის; 14, კონსტ. ივ. ქე ზუბაძის მიხნარის; 15, კონსტ. ივ. ქე ზუბაძის მიხნარის.

* ქ. ოზურგეთი. როგორც ვიგედი საფუძვლით, წრეულისა ამ საფუძვლის პირველ ფაქტობა დატყუვდა. ვაჭრები მოქმედებენ სხვანთა თავ-

ვანთ ღუქის წინა და ერთმანეთს გულ-დაწვეტილებით შეჭურვებენ და მხოლოდ იშვიათად თავს ღანჯაკით ირთავენ.

ამ მომავალს ივნის-ივლისში იფრტა მოლოდინი ვაჭრობის აწვევის მარკზედ, მაგრამ ესეც არ უმართლდებოდა, რადგან ამბავი მოვიდა სხვა ქაღალტებისა, რომ ფასი მარკისა წრეულის რვა-ცხრა მანეთს არ სცილდებოდა. ამ ფასებში-კი სოფლის კაცი მარკს ძნელად გაჭვადის, რადგან წარსულ წლებს ფასებზე (14—15 მ.) არის დაწვეული იგი.

* 7 მაისს, ბათუმის სადგურში მამიანის თანაშემწეს ნ. გლადუშვილს ფორსუნის ცეცხლის წაკიდების დროს პირის ხე და ხელები დასწვია.

* 6 მაისს, ბაქოს სადგურში, გზის დარჯის ს. ყიტენევისათვის მატარებელს № 3 მოუტეხია მარცხენა ფეხის თითები.

* 10 მაისს, სუფსის სადგურში კონდუქტორი ნ. რუდსკოი ორთქლ-მაგალის საფურცლიდან გადმოვარდნილა და დაზარებულა.

* 9 მაისს, ბაქოს სადგურში ვაგონების დარაჯს, რომელიც ზეინკალს ჩერნიკოს აწვდიდა მასალას, ვაგონიდან სკამები დასცემია თავზედ და დაზარებულა.

* ტფილისის მაზრის სოფელ ხაშმის მამასახლისს უთხოვნი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის, გაგზავნოს სპეციალისტი ამ სოფელში გაჩენილ მოსავლის გამანადგურებელ თავგების მოსასობად რაიმე ღონისძიების მისაღებად.

* კვირას, 6 მაისს, ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მოსწავლეებმა, დირექტორის მ. ო. ფიშერის ხელმძღვანელობით, დათვალა რეს და გაიკნეს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების დავთრები და სხვა საანგარიშო წიგნები. ბანკის განყოფილების ბუკალტრებმა ბნმა კლე პაჩევიძემ მოსწავლეთ მოკლე ლექცია წაუკითხა ბანკის ოპერაციების შესახებ.

იმერეთის მაისკორონი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი ჩუნიშის საბლაღოინო ოლქში.

(ქუთაისის მაზრა)

აწინდელი მღვდელ-მთავარი იმერეთისა, ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, რომელიც მოკლე დროის განმავლობაში სულით და გულით შეიყვარა სასარგებლო და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის თავისმა სამწყსომ... იმერეთის თითოეული კუთხე მოუთმენლად მოელოს ყოვლად სამღვდელოს ხილვას პირისპირ და მისი ბრძნულის დარღვების მოსმენას. ჩუნიშის საბლაღოინო ოლქს, რომელიც ქუთაისის ახლოს მდებარეობს, წილად ხელა თვისს არე მარხვად ებილა მობრძანება ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა აპრილის თვეში. ცამეტ აპრილიდან 21 აპრილამდე ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა ჩუნიშის საბლაღოინო ოლქში ეკლესიათა დასათვალაერებლად. მათს მეუფებას თან ახლდნენ დეკანოზი ნესტ. ყუბანეიშვილი და ბლაღოინი ნესტ. შვანგირაძე. პირველს მათგანს მათმა მეუფებამ მიანდო საეკლესიო საბუთების განხილვა. ყველგან მათს მეუფებას შესაფერის პატივისცემით უხვდებოდა სამღვდლოება და ხალხი. მათი მეუფება ყველგან ხალხს ესაუბრებოდა ადგილად გასაგები და ცოცხლის ერთ სხვა-და-სხვა ცხოვრებისთვის საჭირო საგანთა გამო. მათმა მეუფებამ დიდი ყურადღება მიაკცია იმ გარემოებას, რომ ჩუნიშის საბლაღოინო ოლქი ფრიად ჩამორჩენილია სწავლა-განათლების მხრით. აქ თითქმის არსად არაა საეკლესიო-სამრევლო სკოლა,

იმის და მუხედავად, რომ ხალხს უყვარს სწავლა-განათლება... მხოლოდ აქ მოთავე დღემდის არაინ გამოჩენილა, რომ სკოლების გახსნის შესახებ ხალხისთვის შეედეგინებინა განაჩენი და სასკოლო სადგომები ადგილებზედ... ყოვლად სამღვდლო ლეონიდემ ყველგან განუმარტა ხალხს სწავლა განათლების მნიშვნელობა და ურჩია მამაშვილურად საეკლესიო სკოლები გაემართათ... ხალხი ეთანხმებოდა მათს მეუფების რჩევას... მათ მეუფებას არ მოეწონა ბევრი ეკლესია, რომლებიც მართლაც შეუფერებელია ქრისტიანეთათვის: მათმა მეუფებამ ბევრგან დაკეტა შეუფერებელი ეკლესია სიპატარავისა და შესამჩნევად დაძველების გამო. ხალხმა აღუთქვა მათ მეუფებას ახალი ტაძრების აღშენება. ამასთანავე მათი მეუფება ხალხს განუმარტებდა, თუ რა-რიგ უყვარდა ძველს ქართველობას წმი. ტაძრები და მათი გამშენება, საღმრთო წერილი და მწიგნობრობა, რა ზომამდის თავგანწირული იყო იგი ცხოვრების სარწმუნოებისა, ღვთის სიყვარულისა და საზოგადოდ საეკლესიო საქმეებისათვის. მღვდელ-მთავარი შეეხებოდა თავის მოძღვრებაში კიდევ სხვა ბევრს საგანს და თითოეულის შესახებ იგი თავისუფლად და საფუძვლიანად საღმრთო წერილის თანხმად ესაუბრებოდა მსმენელთა, რაც თავის თავად მოწიბობს იმას, რომ მათი მეუფება ღრმად მცოდნეა საღმრთო წერილისა და ღვთის მეტყველებისა.

ჩუნიშის საბლაღოინო ოლქის მცხოვრებთ არასოდეს არ დაავიწყდებოდა ყოვლად სამღვდელოს მობრძანება. თითოეული მისი სიტყვა ნაყოფს გამოიღებს, თითოეული მისი დარიგება შესაფერის ნიღაგს მოიპოებს იმათს გულში. სამღვდლოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, თითქმის ყველგან მღვდლები შესაფერის სიტყვით ეგებებოდნენ მღვდელ-მთავრისა, ლომობირსა და შორს მჭვრეტელსა. ბანოჯის და ციხის გვერდში სიტყვით მიჰმართეს მათ მეუფებას სამრევლოს მღვდლებმა, რომელთაც პირუთენელად დასაურათხატეს მათის მეუფების ხასიათი და გამოსტყვეს თვისი უღრმესი სიხარული მათის მობრძანების გამო. სხვათა შორის მღვდელმა იუსტინე ფანცხვამ მოახსენა მათს მეუფებას შემდეგი: „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გარეელ ეპისკოპოსი სიტყვით, თუ საქმით წინ მიუძღოდა იმერეთის ეპარქიას ნათლის სვეტად... ამასვე მოველით თქვენის მეუფებისაგან აწმყოში... მეოცე საუკუნეში თქვენ გაუძღვებით იმერეთის ეპარქიას ქრისტეს ჯვრით ხელში და ფიხიელი მოქმედებით და, დარწმუნებული ვართ, საიმედო ნათესაყულად მიიყვანთ თქვენს სამწყსოს... იმედი არ გაუტყუნდება უძველეს სამწყსოს იმერეთისას, რომლისათვისაც ძვირად საღირალია მღვდელმთავრის სიტყვა... მტკიცე სულიერი კავშირია დამყარებული იმერეთის მღვდელმთავრის და სამწყსოს შორის და ამ კავშირს ვერ შეჭმუსრავს თვით ბუნეი ჯოჯოხეთი სანი. თვისის გაკირვების, უბედურების, თვისის მხიარულებისა და ბედნიერების დროს იმერეთის სამწყსო ძველად მღვდელმთავრის მადლით მოსილ კალთის მფარველობის

ქვეშ იმყოფებოდა. სამშობლო ქვეყნისთვის, სიმართლისა და სიკეთისათვის, კაცთ-მოყვარეობისა და ქველმოქმედებისათვის გული შესტკიოდა იმერეთის მღვდელ-მთავრის ძველს დროში; მას არასოდეს უღალატნია თვისის უმილოების მოწოდებისათვის. ეს გარემოება აცისკროვნებდა ძველს ქართველს დასავლეთ საქართველოში ტანჯვათა შორის და ალაფროვანება გაკირვების ეამს. იგივე გარემოება არ უღალავა მას იმედს საუკეთესო მომავლისა და შავბედთან მდგარს ბრძოლისათვის გაამხნევებდა. მეფე და დიდებული, თავადი და ახნაური მიმართავდნენ მას ასეთის სიტყვით:

„შენ რას ბრძანებ, მღვდელმთავრო? სიტყვა შენი გვიღირს ძვირად...“

აწინდელი მწყემსმთავარი იმერეთისა ყოვლად სამღვდლო ლეონიდი თავ-გამეტებით, დაუღალავად დაბრძანდებოდა სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად, დაბიდან დაბად და დაბრძანდება ფეხით, ცხენით, ეტლით, გადაღის მღინარეებზედ, მაღალ მთებზედ ბილიკით,—და ყოველგან სთესს თესლსა კეთილსა, და ხარობს უზომოდ მათის მეუფების გული, რომ თესლი ესე მათის მოძღვრებისა ჰპოებს ნოყიერს ნიღაგს აღმოცენებისა და აღორძინებისათვის. ვი სურვოთ მათის მეუფებისათვის დღეგრძელობა და ჯანის სიმრთელი იმერეთის სამწყსოს სულიერის წარმატების სასარგებლოდ.

ორინიანი

დაბატ სოფელი

(მოწერილი ამაგი)

სოფ. ვარსხვა, (გურია). ადგილობრივის კრებულის მიერ აქ იქმნა გარდასდილი ორმოცის წიგნი და მანაშვიდი განსვენებულის მკასნის თავ. რათავე ერისთავის სულის მოსახსენებლად. ადგილობრივ მცხოვრებთაგან განსვენებულს ბევრი იცნობდა; ამისთვის წიგნისა და მანაშვიდს დიდ-დადი ხალხი დაესწრო. გადგება სამ გუნდათ აქური ახალგაზრდობა გურულს კილაზედ ბნის სიმონ მოღარაშვილის ფორტარობით, რომელიც აკერ ოთხი თვეა უდ სამღვდლო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ გამოცხავა ზემო გურიაში). იმედია, გურული ხალხი ყოვლად სამღვდლო ალექსანდრეს ასეთს მამა-შვილურს ზრუნვას არსიდაეს არ დაიფიქვს და ედგება კეთილს განზრუნვას მოსთავაზრებულ მამის ხელი შეუწოდეს, ნათესავი შესაფერი განმადგინოს.

ჩვენს ახალ-მასლო საზოგადოებაში რაიმე საზოგადო დაწესებულებას იშვიათად შეჭვდებოდა. მიზეზი ამისი საქმის მითავაზნი არიან, რადგან ამათგან საზოგადოებას არა ერთ-გზის გასტრუბია იმედი. ბოლოს, როგორც იქმნა, მაინც მოხერხდა და მთავრობის ნება-რთვით აკერ რვა თვეა შექტლეთა ამხანაგობა დაარსდა. ეტლები დადანი საჯანსის სადგურიდან დ. ჩანსტურამდე. თუ რა დიდად სჭირდა აუ ჩვენთვის ამგვარს

* ყ-დ სამღვდლო ალექსანდრემ გურული ვალობის აღსადგენად დაარსა გურიაში საეკლესიო ვალობის კაბინეტი, მოიწვია ორი მაგლობელი თვისისავე საშუალებით: თ. ნაკაშიძე და ს. მოლარიშვილი და დაავალა ანათ, რომ ზეპირად, თუ ნოტებით მუქთად აწვავდნენ ხალხს ვალობა. ესენიც რიგ-რიგით დადიან გურიის სხვა-და-სხვა ადგილებში და ხალხში საეკლესიო ვალობას ავრცელებენ.

ამხანაგობის დაარსება, ადგილ-ქველსა დაგენია შეთხვეული... იგი კერძო შექტლეთაის სხვისა და სხვანაგის განსვენებს, რომელთაც არც ნი. სნი და არც ანათარო წეს-რეგო ში. მისთვის არა აქვთ. დიდის მადლობის დირსია ბ-ნი ვ. შექტლეთ, რომელიც ს. საზოგადოების მინდობილობით დღეს მ. საქმეს განავებს, თავი დაუდო და თითქმის 8,000 მანეთამდე ფული შეგროვა, რომლითაც კიდევც იქნა ცხენები და ეტლები. რაც შეეხება შექტლეთ საქმის წარმოებას, ამხედ მეტე რადისმე მოვილანარკობთ. მინდა მხოლოდ ორმოცე სიტყვა კრების შესახებ ვთქვა.

ყოველის თვის შირველს რიცხვით დადგენილია 14 კანმა, საჩვევითა წეს-რეგო, ამხანაგობის შემოსავალ-განსავალი და მმართველისა და სახანდლის მოქმედება განხილონ. მაგრამ, წარმოიღვინეთ, ვერ არის ეს საქმე რაცხედ მოწეობილი, რადგანც წევრები იმედი ბუღნი არიან ყოველივე ანგარიშით. მმართველს სასუთის ქაღალდების უქმნებად საწმუნად მიიღონ: ასე ვთვით და თქვენც დაიჯერეთ. მეორე არ-სასურველი გარემოება კიდევ ის არის, რომ არ განისაზღვრა კრებაზედ, თუ ამხანაგობამ რომელს თვეში რა უნდა შეიძინოს. ამისა გამო მმართველი და სახანდარი რაც უნდათ, იმას იძინებ და ამ რეგად დანიშნულება ამ საჩვევითა წევრებისა გაუქმებულად და მოქმედება მმართველს სახანდარისა კი განუსაზღვრავს. ეტვი არ არის, მმართველს თავისუფლება მოქმედებისა უნდა ჰქონდეს, მაგრამ იგი მუდამ წევრების მოსაზრებასთან უნდა იყოს შეთანხმებული. უამისად ხომ საჩვევითა წევრების ამორჩევასაც ახნი ადარა აქვს. თუ ამხანაგობა ასეთს გზას ამორჩევს, მამის თვითონ კრებაც უძღური იქნება და იძულებული ყოველივე რასაც კი წამოუდგებენ, დაამტკიცონ, რადგანც წარმომადგენელთა გამართლებული საბუთის ქაღალდები არ ექნებათ.

უცხოეთი

ინგლის-ბრანსმალის ომი. „Hamburger Nachrichten“ ბოტს შესახებ შედეგს ფრად საყურადღებო ამბავს იუქვება ერთის გერმანულ ოთხი ნახანარკვეიდან, რომელსაც ურების რაზმში უმსხურნა. „არასოდეს არ დამავიწყდება,—ამბობს ავტორი მოგონებთა,—ბრველათ ბოტს რომ გერმანული ნემცეთა რაზმის საქმეების შესახებ მოსაზრებულად ბოტსთან მიგვედი ბანკში. ბანკს შედეგინდა სულ ოცდაათიდან ორმოცამდე კარავი, რომლის გარშემოც ხანები დცხვრები სძოდნენ; აქა იქ ბურების ბატარა ბატარა გუნდნი მოსხანდნენ. ამთანი ეძინათ, ან და ფიხიურად ვარჯიშობდნენ. მე მამინე გერმანლის კარავთან მიმიყვანეს. მიუახლოვდი კარავს და უბრალო ბრეხენტთ გადარეკ კარავში წველი ფეხი შევნიშნე მისი ნათესავისა. წინადვე გავანიდა შევინდა, რომ ბოტს უდროოდ გამოვლეთა და დანათესავებულად და ამის გამოც დაგვწმე. კარავის მანქანად არაინ შემიძინა, არც დარჯი და მტკიცე, არც ადუტანტი; ჩემის მისვლის შეტყობინებას არაინა ფიქრადან ჩემ წინ გამსწავროთეიყო მთავარ-სარდალი ბურების მხედრობისა და ისე უდარდელად ეძინა, თითქოს აქ არაფერი ამბავია; როდესაც მთელი საათი

დიდის მთავრების ვლადიმირ ალექსანდრეს ძისა, კირილე ვლადიმირის ძისა, სერგეი ალექსანდრეს ძისა და პეტრე ნიკოლოზის ძის თანადარსებით დღესასწაულისა გამო გარდახდომი იქმნა საეკლესიო პარადი ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელის ლეოპოლდის კირასირთა რაზმისა.

მოსკოვი. ბექლვითი საქმის საზოგადოების მოსკოვის განყოფილებამ ბექლვის საქმის ორასის წლის იუბილეს შესრულების სახსოვრად გარდასწავილა სტროგანოვის სასწავლებელთან ლიტოგრაფია სკოლა იქმნას გახსნილი.

მინა. გარდაიცვალა ოლქის ხარების სარდალი გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი ტროცკი; მიზეზი სიკვდილისა კუჭიდან სისხლთ დენაა. ავად ცოტა ხანს იყო. 9 მაისს ლოგინიდან წამოდგა, მაგრამ მალე უცხად გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამს ჩერნიოვის გუბერნიაში გადასვენებენ საკუთარს მამულში დასაკრძალად.

ხარკოვი. ადგილობრივ მცხოვრებ გლეხთა კრებამ გარდასწავილა ბავშვების თავშესაფარის გასამართავად ერთ-ხანად 1,500 მან. და შემდეგ ყოველ წლივ 600 მანეთი იქმნეს გადადებული.

ლ.მ.მ. შალეულობის ფაბრიკების მუშაობას განკარგება დაეცო; ადგილობრივი ფაბრიკა გამოცოცხლდა; ჩითეულისა და ბამბეულის ფაბრიკების საქმე მდორედ მიდის.

არხანგელსკი. 8 მაისს ადგილობრივ ოლქის სასამართლოში გაიჩნა საქმე ზნეობა-დაცემულის ქალის ეფიმიოვის მკვლელობის შესახებ. ორივე ბრალდებულნი გამართლებულ იქმნენ. სამის შორეულ მასობრივად ჯერ საზაფხულო ფოსტა არ მოსულა. მაკაროვის გემმა 11 კაცი გადაარჩინა ღვინაში დაჩრბობას.

მანხაი. როგორც იუწყებიან, ლიხუნიჩისა და ცინისადმი მიმართული იმპერატორის ბრძანება დაბეჯითებით თურმე თხოულობს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება რაც შეიძლება მალე იქმნეს დასრულებული და სასახლემ ჰკეინში დაბრუნება შეიძლოს.

მრისტიანი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ბოლოს დროს ჰერბის იხსენს ავადმყოფობა დაუწყებია; ავადმყოფობა დაბლას თურმე წაავას და ჯერ-ჯერობით ენას შევხებია, ასე რომ ავადმყოფს ლაპარაკი თითქმის სრულიად აღარ შეუძლიან და ჯოხით ძლივს და დაიარება სხვების შემწეობით; დაღვებული ლაპარაკი სრულიად აღარ შეუძლიან; დამშვიდება მისთვის ძლიერ საჭირო არის. საზოგადოებრივ გამოკვება ეტყობა.

საუბრაპრონი. სოლენტის სრუტეში გემების სანიმუშო გამოცდა უნდა მომხდარიყო. უცხად ამოვარდნილმა ქარიზალმა იახტას „შამროკ II“-ს, რომელშიაც თითონ გეფე იჯდა, იალქანი ააგლიჯა. იახტა დაიღუბა; გეფე და ხომალდზედ მყოფნი ძლივს გადაარჩნენ. ყველა ხომალდები, რომლებიც-კი სანიმუშო ცურვაში მონაწილეობას იღებდნენ და ამათ შორის „შამროკ I“, ძლიერ დაზიანებულნი არიან.

ბარლინი. ვალდერზე დებეშით იუწყება ჰეკინიდან: „ლიხუნიჩისა გარდასწავილა სამხრეთის საზღვრებზე „ლიდი მუშის“ წარმომადგენელ აჯანყებულთ სეროიზული წინააღმდეგობა გაუწიოს. ახლა მისი გენერლები გენერალის ბალიუს უფროსობით საფრანგეთის ჯართან ერთად ჰმოქმედებენ. კაპიტანი კენერციერი მესამე რაზმის მე-3 და 8 როტით „ლიდის მუშის“ 400 კაცს წამოეწია მანშენთან, პატრინფუდგან ჩრდილო-დასავლეთით და სრულიად დაამარცხა. მე-8 როტას მხოლოდ რვა ჯარისკაცი დაუტრეს.

მინა. 9 მაისს უნგრეთის სახელმწიფო საქმეთა დელეგაციის კომისიაში გოლუხოვსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც თავდაპირველად ჩინეთის საქმეთა დელეგაციის მდიანობას შეეხა. „ავსტრ უნგრეთისათვის პირველსავე წაბს თვალსაჩინო შეიქმნა, — სთქვა გოლუხოვსკიმ, — რომ სახელმწიფოთა საერთო მოქმედებაში მას განსაზღვრული მონაწილეობა უნდა მიეღო, რაიცა მისს მკირე ინტერესებს სრულიად შეესაბამებოდაო ჩინეთში.

მკირედი გაფართოვება ამ საზღვრებისა შეიძლება მხოლოდ იმ მოვალეობისა გამო, რომელსაც სახელმწიფოს მისი მონაწილეობის მდგომარეობა აკისრებს; რაც შეეხება შემდეგ მონაწილეობას სახელმწიფოთა მიერ აღრევე განზრახულსა და სავალდებულო მოქმედებაში, ამხედ-კი უარი უნდა ეთქვა, რადგანაც მონაწილეობა მოვალეობა ერიდოს ყოველივეს, რაიცა-კი მას სახიფათო და ხარჯით გაუმადლარს საქმეში ჩაითრევს. აზრი-კი იმისი, რომ ფორმალურად სახალმწიფო პოლიტიკაში ფეხის შესადგმელად ამ მოქმედებით ესარგებლან, წინაღვე უარ-ყოფილი იყო; ამას ადვილად შეეძლო მონაწილეობა გაკვირვებულს მდგომარეობაში ჩაეგდო, რაიცა მისს თავისუფალს წინსვლელობას შეაფერხებდა და თავისი ძალა-კი ხელშეუხებლად უნდა შეენახა იმ შემთხვევისათვის, როდესაც მისს განსაკუთრებულსა და უფრო დიდს ინტერესებს შეეხებოდნენ. ორატორმა აღნიშნა შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკების უკვე ცნობილი საბუთები და ის აზრი გამოსთქვა, რომ ვიდრე მოლაპარაკება არ გათავებულა, თავის დაქე რაა საჭირო; რაც შეეხება ზაზლაურის შესახებ მოთხოვნების დაქმნა-ყოფილებას, იგი სავსებით დამოკიდებულია იმაზედ, თუ დიდს სესხს რითი უზრუნველ-ყოფენო. დიდად სასურველია, რომ საზღაური ყოველწლიურად-კი არა, ერთად იქმნას გარდახდომი და ამითი საქმე უცხად გათავდესო. ავსტრ-უნგრეთი მხოლოდ იმასა თხოულობს საზღაურად, რაც ნამდვილად დაზარავია და უზარალნია. შეეხება შემდეგ ამისა ევროპის მახლობელს ინტერესებს, გამოსთქვა აზრი, რომ კონსტანტინებოლში მყოფ ელჩების კონფერენციასზედ ბერძენ-ოსმალთა საჯარო და საკონსულო ხელშეკრულობის მედიატორეთა სამართლით გარდაწყვეტამ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის მეგობრული დამოკიდებულება უნდა განამტკიცოს და ამისათვის ეს შემთხვევა ისრე უნდა

იყოს დაფასებული, როგორც საუკეთესო მოვლენაო. რაც შეეხება ავსტრ-უნგრეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას, მინისტრმა დამტკიცა, რომ იგი მეგობარ სახელმწიფოებთან მჭიდრო დამოკიდებულების საქმეში სწორე გზას ადგია და დანარჩენ სახელმწიფოებთანაც, განსაკუთრებით-კი მეზობელ რუსეთთან, სანდო დამოკიდებულება აქვს. ჩვენს მუდმივს მისწრაფებას შეადგენდა ეს საუკუნოებით გამოცდილი საფუძველი საზოგადო მშვიდობიან ინტერესებისა დაგვეცვა და ეხლავე შეგვიძლიან დამედებულნი ვიყვნეთ, რომ ამ მიმართულებაში მომავალშიაც არა იქმნება-არა შეცვლილი. დაფარული აზრი ასე დაეინებოთ გაფრცხლებულის ხმებისა, რომ სამთა კავშირი როგორმე შერყეულ იქმნეს, ისე აშკარაა ყველასათვის, რომ მისი შეტყობა ძნელი არ არისო. ამისთანა მითქმა-მოთქმა გახსენების ყურადღების ღირსიც-კი არ იქმნებოდა, თუ რომ უკვე ცნობილს ფარულს მუშაობას ზოგიერთებისას ეხლა სხვებიც არ მიჰმატებოდნენ და განზრახვა არა ჰქონდეთ პოლიტიკური კავშირების კითხვა სახიროსავაპრო ხელშეკრულებებს როგორმე პირდაპირ დაუკავშირონ. ამ ეხმად თითქმის რომ აღარავისათვის საკამათო არ არის ის, რომ ფორმალური ეკონომიური ბრძოლა მჭიდრო პოლიტიკურს დამოკიდებულებას სულ ადვილად იშენებს, არ უფრთხისო... მინისტრმა იმედი გამოსთქვა, რომ როგორც გერმანიასთან, ისე იტალიასთან დასადებ მომავალ ხელშეკრულებებში მშვიდობიანად იქმნება გადაწყვეტილი ყველა უთანხმოებაო. საპოლიტიკო კავშირები სავაპროსაპოლიტიკო საგნების მშვიდობიანად გადაწყვეტისაგან არ არის დამოკიდებული; ის, ვინც ამგვარ დამოკიდებულებას ამტკიცებს, საშიშ თეორიას აბატანებს. ამგვარი აზრები კვალს ვერ აუბნევს ვერც ავსტრ-უნგრეთისა და ვერც სხვა რომელიმე სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეებს. ის სარგებელი, რომელიც სამთა კავშირს მოსდევს, იმდენად აშკარაა, რომ შეუძლებელია ბედის წერას მისცენ იგი. რამდენადც მტკიცეა საკავშირო დამოკიდებლობა ავსტრ-უნგრეთისა, იმდენად მეგობრული განწყობილება აქვს მას ყველა სხვა კაბინეტთან, რომელთანაც სცდილობს მშვიდობიანობის დამყარებას. ამ განუწყვეტილი მუშაობისა და მეცადინეობის წყალობაა, რომ ჩინეთის საქმის გამო სახელმწიფოთა შორის კარგი განწყობილება არ დაირღვა, თუმცა პირველ ხანს ყველა შიშობდაო. დასასრულ მინისტრმა სთქვა, რომ მექსიკასთან დიპლომატიური დამოკიდებულება განახლებულ იქმნაო.

ვემოწირობა
ტფილისის გუბერნიის თავად-ახნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწე გამგე-კომიტეტი მიიღო ბ-ნ ისია ფურცელაძისაგან ხუთი თუმანი სკოლის შენობისათვის. ეს შემოწირულება წინააღმდეგ შემოწირულებასთან ერთად შეადგენს თექვსმეტ თუმანს.
გამგე კომიტეტი თავის მოვალეობად სთვლის გულითადი მადლობა გამოუცხადოს ბ-ნს ი. ფურცელაძეს ამ შემოწირულებისათვის.

ბანსხალეზანი
კავკასიის მომავალ გამოფენაზედ გამგე-კომიტეტი საქმის პავილიონის მომწყობი კომისია იწვევს იმათ, ვისაც მსურთ გამოჰყონონ ნაწარმები ხსენებულს პავილიონში, 20 მაისამდე გამოაცხადონ თავისი სურვილი და ამასთანავე აღნიშნონ რამდენი ოთხ-კუთხი არზინისა 5 მან.-დგან 10 მან.-მდეა. განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ იქმნას ბედ 3 მან. ყოველ ოთხ-კუთხ არზინში. ექსპონენტებად შეუძლიანთ იყვნენ კავკასიის ა) დრო-გამოშვებითი გამოცემანი, ბ) წიგნების მალაზიები და გამოცემენი, გ) სტამბები, ლიტოგრაფიები, ფოტოგრაფიები და სხვა ამგვარი და წესებულებანი, რომელთაც კავშირი აქვთ ბექლვით საქმესთან.

ახალი წიგნები
ჩვენ მოგვიყვანა ჟურნალ „Вѣстник“ სტამბა მ. შარაძისა და ამხ.

Винодѣля „ს რეაქციის მიერ გამოცემული წიგნი: „Материалы по вопросу о фальсификации пищевыхъ продуктовъ съ приложеніемъ законопроекта“. წიგნი დაწვრილებით არის მოხსენებული, თუ რა სიუალებანი ჰსდგება ადამიანისათვის ესოდენ საჭირო სანაყავში და რა ღონისძიებით უნდა გაქციოს ბრძოლას იმ მავნებელს მოგვინას. წიგნი სიმის ნაწილისაგან შესდგება. პირველს ნაწილში მოთავსებულია წერილები მისზრდოებელ ნაწარმების ეალებად კეთებისა და ამ სენთან ბრძოლის შესახებ და ამ ნაწილში მოთავსებულია, სსვათა შორის, წერილები ჩვენის თანამემამულეების: ბრძოლისაგან გ. პეტრიაშვილისა: „Организація лабораторій и ихъ роль въ контролѣ надъ доброкачественностью питательныхъ продуктовъ“ და მ. მედიკიშვილისა: „Значеніе предѣловъ при изслѣдованіи пищевыхъ веществъ“; მეორე ნაწილში დაბეჭდილია სანაყავრობის წევრთა მიერ რეაქციის სხეობაზედ გაზაზნაილი წერილები, რომელშიც გამოთქმულია სსვ. და-სსვ. აზრები „ღონისა და სანაყავის სიუალების“ შესახებ და მესამეში მოყვანილია თვით ბრძოლა კახანისა, რომლითაც უნდა ბრძოლა გაქციოს ეალებად სანაყავის შემქნელთ. სურათად წიგნი მოთავსებულ წერილებში ის აზრია გატარებული, რომ ფაქსიფიკაცია თავის-და-თავად დასაშუალებად უნდა იქმნას ჩათვლილი, თუნდაც მავნებელი ნივთიერება არ იყოს შერეული ამა თუ იმ ნაწარმებში, ხოლო ეს დასაშუალები მრჩობა ბრძოლა, თუ მანვე შედეგად მოგვინას ფაქსიფიკაცია სსვ. წიგნი შეიცავს 360 მტრს გვარდს და ჰქვარს 2 მან.

განცხადება
ანდრეევსკის ქუჩაზედ, № 23
ისამილება საზოგადოებრივი
დუქანი

საქონელი თავისის გამართლებითა და მოწყობილობით, ფასი 350 მანეთამდეა. მსურველს შეუძლიან მოვლაპარაკოს დუქანში პეტრონს.
(5-112-5)

განცხადებანი უნდა იქმნებოდეს ტფილისში კომისიის დეკრეტის ქუჩა, № 17). პირისპირ მოლაპარაკება მდევთან შეიძლება ყოველდღეს საღამოს 5 საათიდან 6 მდე, გარდაკვირა უქმე დღეებისა. ტელეფონის № 678. ბექლვითი საქმის პავილიონში იქმნება უფასო სამკითხველო და პრესის წარმომადგენელთათვის სამუშაო ოთახი.
(3-11-2)

„მსტა“-სი
აუწყებს ამ ამხანაგობის პაის პატრონთ, რომ მესამე ვადა 10%-ს შესატანისა, ე. ი. 10 მანეთისა თუთვეულს პაიზედ, დანიშნულია 11. დგან 21 მაისამდე. ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ პაის კვიტანციები. ამასთანავე მოვაგონებთ პაის პატრონთ სამხანაგო ხელშეკრულების მე-7 წესს. ამხანაგობის კანტორა ერევანში მოედანზეა, ხარაზოვის სახლში.
(4-116-3)

ერიდეთ! არ მოსტყუდეთ!
ჰიზიანური
ბორსო-ციმიოლის სამონი
პროვაზორის
გ. ფიურბენისა
აქრობს ჰორდოს, ნასიკებს ყველს ლაქებს და სპობს ოულს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნუნელი და მალაღის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
აქროს მედალი, ღონისა 1893 წ. ფასი თითო ნაჭარისა 50 კაპ., 1/2 ნაჭარი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
უმთავრეი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. თ. (48-5-42)

განვიზრახე რა გამოვცე კრებული ამ სათაურით: „საქართველო რუსეთის მწერალთა, პოეტთა და პუბლიცისტთა ნაწარმოებით“, ვთხოვ იმათ, ვინც ამ ჩემ განზრახვას დაუჭირებენ, აღნიშნონ რუსეთის მწერალთა ის წერილები საქართველოს შესახებ, რომელთა ამ კრებულში მოთავსებაც სასურველია.
რეტმისტრო ბრძის ესპანკუია, კოჩუბის ქ., სპ. სახლი, № 11
(3-11-1)